ადგილი აქვს უხეშ დარღვევებს აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციაში. ხშირია შემთხვევები როდესაც ინტერნატული დაწესებულებებში სათანადოდ ვერ მარაგდებიან ხორცი, ბოსტნეულით, სახლე-ლით, თევზით, ლობიოთი; მარტო 1980 წლის მე-4 კვარტალში გათვალისწინებული ხორცის 55-57% მიიღეს კოჯრის № 2, ასპინძის საბავშვო სახლებმა, მახუნცეთის სკოლა-ინტერნატმა; რძე სრულიად არ მიუღიათ ვაშლოვანის, ასპინძის, ლაჯანურის, ატენის, მახუნცეთის სკოლა-ინტერნატებს; ყველი — საგურამოს, ატენის, კასპის, ლაჯანურის სკოლა-ინტერნატებს, ასპინძის საბავშვო სახლს; კარტოფილი ნორმით გათვალისწინებულზე 2.472 კგ-ით ნაკლები მიიღეს ზუგდიდის რეაწლიანმა, 3037 კგ-ით ნაკლები ლაგოდების, კასპის (2.015 კგ.), წითელწყაროს (1117 კგ.) სკოლა-ინტერნატებმა და სხვა ინტერნატულმა დაწესებულებებმა. ამიტომ, აღსაზრდელთათვის ნორმით დადგენილი კალორიის გამოყვანა ხდება მენიუ-მოთხოვნილებაში თვითნებური ცვლილებების შეტანის გზით, ძირითადად ბურღულეულის ხარჯზე. სუსტია ამ მიმართებით ინტერნატული დაწესებულებების ხელმძღვანელთა კონტროლი და განათლების ადგილობრივი ორგანოების დახმარება.

არადამაკმაყოფილებელია კვების ბლოკის მუშაობა კაჭრეთის სკოლა-ინტერნატში. ერთფეროვანია მენიუ-მოთხოვნილება, არ ხდება კერძების ვიტამინიზაცია. შემოწმებით აღმოჩნდა აღსაზრდელთათვის განკუთვნილი პროდუქტების დატაცების ფაქტი. უფროსმა მზარეულმა გ. შანყულაშვილმა, სადილის მომზადების დროს, გადამალა 5 კგ. ხორცი. გადამალული იყო, აგრეთვე, კარაქი და ყველი, შაქრის ფხვნილი. (შემთხვევის ადგილზე შედგენილი აქტი სათანადო რეაგირებისათვის გაეგზავნა გურჯაანის რაილმასკომს).

მიუხედავად გასულ წელს ჩატარებული კაპიტალური რემონტისა, კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მაინც არადამაკმაყოფილებელია. ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა ჩაცმულობას, ანტისანიტარია ინტერნატის ტერიტორიაზე, არადამაკმაყოფილებელია სამედიცინო პერსონალის მუშაობა.

სერიოზული ნაკლოვანებებია ცხინვალის სკოლა-ინტერნატის მუშაობაში (დირექტორი ლ. პარასტაევი). შეფერხებებით მოქმედებს გათბობის სისტემა, მოუწესრიგებელია პირსაბანები, არასწორი დაპროექტების გამო არ მუშაობს აბანო, მოსწავლეები უზრუნველყოფილი არ



არიან თბილი ტანსაცმლით; ნაკლოვანებებია კვების ბლოკის მუშაობაშიც: დარღვეულია პროდუქტების შენახვის წესები, მენიუ ერთფეროვანია, არ გამოყავთ კალორაჟი, შეფერხებებს ადგილი ჰქვამს პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილით მომარაგების საქმეში.

სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის მუშაობაში. სკოლა-ინტერნატს არ აქვს გამდინარი ცივი და ცხელი წყალი, არ მოქმედებს სველი წერტილები, ინტერნატს აკლია რბილი და მაგარი ინვენტარი, მოუწესრიგებელია გათბობის სისტემა, ერთფეროვანია აღსაზრდელთა კვება, არადაამაკმაყოფილებელია სამედიცინო პერსონალის მუშაობა, არ სრულდება აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმა.

ნაკლოვანებებია თელავის საბავშვო სახლის (დირექტორი შ. ალიევი), თბილისის სამუსიკო სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ე. თოდუა), კოჯრის საბავშვო სახლების (დირექტორები: ზ. გოგოლაური თ. ლეშაშელი, თ. ჩხიკვაძე) კვების ბლოკის მუშაობაში.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები, ხშირ შემთხვევაში, ჯეროვან დახმარებას ვერ უწევენ სახალხო განათლების ორგანოებს ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების კვალიფიცირებული სამედიცინო კადრებით დაკომპლექტების საქმეში, სათანადო კონტროლი არ ხორციელდება სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვაზე.

ინტერნატული ტიპის დაწესებულებებში უყურადღებოდაა მიტოვებული აღსაზრდელთა ჯანმრთელობის გამოსარკვევად დიეტური კვება. სამედიცინო პერსონალი ჯეროვან მუშაობას არ ეწევა აღსაზრდელთა ჯანმრთელობის გამოსარკვევად, არ არის ცნობილი იმ აღსაზრდელთა სია, რომლებსაც ესაჭიროება დიეტური კვება. ინტერნატულ დაწესებულებებში დიდი რაოდენობითაა ენურეტიკი ბავშვები, რომელთათვის არ არის შედგენილი ცალკე მენიუ-მოთხოვნილება, რასაც მათ მკურნალობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

არც ერთ ინტერნატულ დაწესებულებაში არ არის საკორიგო ტანვარჯიშის ჯგუფები.

რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებებში აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

## კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დავალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სამინისტროებს, საშხ-რეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს:

1.1. გადამწყვეტი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

1.2. ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებს აღსაზრდელ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების შერჩევის საქმეში.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა გააძლიერონ მუშაობა აღსაზრდელთა სანიტარიულ-ჰიგიენური მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მკაცრი კონტროლი დააწესონ კვების ბლოკების მუშაობაზე, ამაღლონ ამ მიმართებით მომსახურე სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობა.

2.2. განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი სასწავლო-საცდელ დამხმარე მეურნეობათა შესაქმნელად; მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები გამოიყენონ აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებისათვის.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ექიმებმა გააუმჯობესონ აღსაზრდელთა სამედიცინო-სანიტარიული მომსახურება, კონტროლი გაუწიონ ბავშვთა სწორ კვებას, გამოავლინონ ბავშვები, რომელთაც ესაჭიროებათ დიეტური კვება და მიაღწიონ დიეტური კვების ორგანიზაციას.

3.1. არ დაუშვან კვების ბლოკის მუშაკების მიერ მენიუ-მოთხოვნილებებში თვითნებური ცვლილებების შეტანის არც ერთი შემთხვევა.

4. განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ხარისხიანი მაგარი და რბილი ინვენტარით, ფეხსაცმლითა და ტანსაცმლით შეუფერხებელ მომარაგებას, იზრუნოს ინტერნატული დაწესებულებების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველსაყოფად.

5. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) სისტემატიური ზედამხედველობა და კონ-

ტროლი დააწესოს ინტერნატული ტიპის დაწესებულებათა მშენებლობასა და კაპიტალური რემონტების ხარისხიანად ჩატარებაზე, არ დაუშვას დაუშთავრებელი და დეფექტებით შესრულებული სამუშაოების მიღება. შესაძლებლობის მიხედვით გამოიყოს საამშენებლო მასალები და გათბობის დანადგარ-მოწყობილობები გურჯაანის რაიონის კაჭრეთის, წითელწყაროს, ცხინვალის სკოლა-ინტერნატებს და საჩხერის საბავშვო სახლს.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 მაისის № 335 „გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 „რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებების შესაბამისად დააკომპლექტოს რესპუბლიკის ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებები შესაბამისი სამედიცინო კადრებით, გააძლიეროს დახმარება და კონტროლი მომსახურე სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გამოყოს თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობა სპეციალური სკოლა-ინტერნატებისათვის.

7. ეცნობოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და „ეკავშირის“ გამგეობას სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში აღნიშნული ნაკლოვანებების შესახებ და ეთხოვოს მიიღონ ზომები არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

8. ცნობად იქნას მიღებული, რომ კაჭრეთის სკოლა-ინტერნატში მომხდარი დატაცების ფაქტთან დაკავშირებით სკოლა-ინტერნატის დირექტორის ბრძანებით შეფ-მზარეული განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო სკოლა-ინტერნატის უფროსს აღმზრდელს გამოეცხადა საყვედური.

შინიშნოს გურჯაანის რაიონის კაჭრეთის, ცხინვალის და წითელწყაროს სკოლა-ინტერნატების დირექტორების ამხ. ამხ. ზ. ლვინიაშვილის, ლ. პარასტაევას, ნ. ალადაშვილის არადამაკმაყოფილებელი მუშა-

ობა აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების, კულტურული და სამედიცინო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამო.

ქართული  
საბავშვო

9. დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. პ. თუთბერიძე) გააძლიეროს დახმარება და კონტროლი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებზე, მიაღწიოს მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

მომავალი სასწავლო წლის პირველ სემესტრში განმეორებით შეამოწმოს აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების ორგანიზაცია.

10. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. პ. თუთბერიძე).

მინისტრი

მ. ჭინჭაძე

## ციკლულარული წერილი

განათლების განყოფილებებსა და სკოლებში განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტების წარმოებასა და დაცვაში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ

მიუხედავად მოწმობა-ატესტატების წარმოების საქმის ერთგვარი გაუმჯობესებისა, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო განათლების სამინისტროს მიერ 1980 წლის 21 თებერვალს დამტკიცებულმა და გამოქვეყნებულმა ინსტრუქციამ „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის შესახებ“, განათლების განყოფილებებსა და სკოლებში ჯერ კიდევ ხშირია დარღვევები მათი წარმოების საქმეში, კერძოდ:

განათლების განყოფილებათა უმრავლესობაში მოწმობა-ატესტატების წარმოებაზე ჯერ კიდევ გაპიროვნებული არ არიან აქტივთა და ბრძანებით სასკოლო ინსპექტორები. ამასთან, განათლების სამინისტროდან მოწმობა-ატესტატების გატანას ანდობენ სხვადასხვა პირს (ინსპექტორი, მეთოდისტი, სტატისტიკოსი, ბუღალტერი და სხვა), რაც ზოგჯერ მიზეზია მოწმობა-ატესტატების გაფანტვისა, შეუვსებელი ბლანკების დაკარგვა-დატაცებისა.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როდესაც განათლების განყოფილებიდან მოწმობა-ატესტატების სკოლებზე გაცემა ხდება დადგენილ წესის დარღვევით, სათანადოდ გაფორმებული საგამოცდო ოქმებისა და რვაკლასდამთავრებულთა სიების წარმოდგენის გარეშე, საავანსოდ, ამასთან, არა სკოლის დირექტორზე, არამედ სკოლის რიგით მუშაკზე.

მიუხედავად კატეგორიული აკრძალვისა, განათლების განყოფილებებსა და სკოლებში ჯერ კიდევ არის შეუვსებელი ბლანკების ხანგრძლივი დროით შენახვის შემთხვევები, ხოლო ზოგჯერ განათლების სამინისტროდან დოკუმენტი სკოლაში ხვდება, განათლების განყოფილების გვერდის ავლით, რის გამოც წლის ბოლოს განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მიღებული ბლანკების რაოდენ-

ნობა არ ემთხვევა სამინისტროდან გატანილ ამ დოკუმენტთა რაოდენობას.

სათანდო აღრიცხვიანობის მოუგვარებლობის გამო განათლების განყოფილებებსა და სკოლებში გროვდება შეუვსებელი და გაუცემელი დუბლიკატების ბლანკები, რაც არ გამორიცხავს მათი არაკუთვნილებისამებრ გაცემის შემთხვევებს.

რიგი სკოლის ხელმძღვანელები კვლავ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მოწმობა-ატესტატების სწორად შევსების საქმეს, რის გამოც მხოლოდ საკავშირო განათლების სამინისტროში არასწორად შევსებული ატესტატების გაცემის სისწორის დასადასტურებლად შესულ თხოვნათა 62% საქართველოს კურსდამთავრებულებზე მოდის.

**გ ე ვ ა ლ ე ბ ა ა :**


1. განათლების განყოფილებებში მოწმობა-ატესტატების უკეთ წარმოების მიზნით ბრძანებით გააპიროვნოთ ერთ-ერთი სასკოლო ინსპექტორი, რომელსაც დაევალება განათლების სამინისტროდან მოწმობა-ატესტატების გატანა და მათი სკოლებზე გაცემა.

2. განათლების განყოფილებიდან სკოლებზე მოწმობა-ატესტატები გასცეთ მხოლოდ სკოლის დირექტორის მეშვეობით, რვაკლასდამთავრებულთა სიებისა და საგამოცდო ოქმების წარმოდგენის შემდეგ.

3. პასუხისმგებლობით მოეკიდოთ სკოლებში მოწმობა-ატესტატების შევსების საქმეს და აღკვეთოთ სკოლიდან არასწორად შევსებული ატესტატების გაცემა.

**მინისტრი**

**მ. ჭიჭლაძე**

  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრის

## ЦИРКУЛЯРНОЕ ПИСЬМО МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О серьезных нарушениях в деле ведения и хранения документов особого учета в отделах народного образования и школах**

15 мая 1981 года

Несмотря на некоторое улучшение дела ведения и хранения свидетельств и аттестатов, чему в определенной мере содействовала утвержденная 21 февраля 1980 года и опубликованная Министерством просвещения Инструкция «О порядке изготовления, хранения, выдачи и учета аттестатов о среднем образовании и свидетельств о восьмилетнем образовании выпускников общеобразовательных средних, восьмилетних, вечерних (сменных) и заочных школ», в отделах народного образования и школах все еще допускаются нарушения, в частности:

в большинстве отделов народного образования все еще не оформлен соответствующим актом и приказом инспектор, отвечающий за ведение свидетельств и аттестатов. Получение и доставка свидетельств и аттестатов из Министерства просвещения поручается разным лицам (инспекторам, методистам, статистам, бухгалтерам и др.), что иногда является причиной утери и хищения незаполненных бланков.

Еще часты случаи, когда отделы народного образования, нарушая установленные правила, выдают школам, и при этом не директору, а рядовому работнику, свидетельства и аттестаты авансом, без представления соответствующим образом заполненных протоколов экзаменов, без списков выпускников восьмых классов.

Несмотря на категорическое запрещение, в отделах народного образования и школах все еще наблюдаются случаи хранения незаполненных бланков в течение длительного времени. Нередко документ попадает из Министерства просвещения прямо в школы, минуя отдел народного образования, вследствие

чего в отчете, представленном в конце учебного года, количество бланков, получаемых отделом народного образования, не совпадает с количеством бланков, выданных Министерством просвещения.

Из-за беспорядка в деле учета свидетельств и аттестатов в отделах народного образования и школах накапливаются дубликаты незаполненных и невыданных бланков, что не исключает случаев их выдачи не по назначению.

Руководители ряда школ по-прежнему безответственно относятся к заполнению свидетельств и аттестатов, вследствие чего из общего числа поступивших в Министерство просвещения СССР просьб, засвидетельствовать правильность неверно заполненных аттестатов, 62% приходится на выпускников школ Грузии.

Поручатся:

1. С целью улучшения работы с указанными выше документами особого учета приказом по отделу народного образования поручить получение их в Министерство просвещения и распределение по школам одному из инспекторов ОНО.

2. Выдачу свидетельств и аттестатов школам производить только через директоров школ, по представлении протоколов выпускных экзаменов и списков учащихся, окончивших восемь классов.

3. Изжить случаи выдачи неправильно заполненных аттестатов и свидетельств о восьмилетнем образовании, повысив ответственность руководителей школ за четкость работы на этом участке.

Министр

О. Кинкладзе



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 352

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინსპექტირებისა და სასკოლო მუშაობის დაგეგმვის შესახებ

სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლის მართვის მეცნიერული სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას, სასკოლო მუშაობის სწორ მეცნიერულ ორგანიზაციას, სკოლებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფას.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა, მისი ეფექტურობის ამაღლება დამოკიდებულია მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელთა შრომის რაციონალურ ორგანიზაციასა და ზუსტ რეგლამენტირებაზე, მათს უნარზე პედაგოგიური შრომის პროცესში ყურადღება გაამახვილონ უმთავრეს, ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანათა გადაჭრაზე, ყოველივე ამან ასახვა უნდა ჰპოვოს სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში. ნაცვლად ამისა, უკანასკნელ ხანს სასკოლო პრაქტიკაში ფართო გავრცელება ჰპოვა მრავალგეგმიანობამ, გეგმების ხშირად მეორეხარისხოვანი და არარაციონალური საკითხებით გადატვირთვამ, ყოველივე ამან კი გამოიწვია სკოლის მუშაკთა სერიოზული გადატვირთვა, გეგმიური საკითხებისა და, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი მოვალეობის შესრულებისადმი ფორმალური დამოკიდებულება და შესაბამისად ყურადღების მოდუნება სკოლის წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემებისადმი.

სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში მრავალგეგმიანობისა და ფორმალურობის დამკვიდრებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, სკოლებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეში ჯერ კიდევ არსებულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, რაც გამოიხატება სკოლის მუშაობის ინსპექტირების არაკვალიფიციურობასა და არაკომპეტენტურობაში, სკოლის ინსპექტირების დადგენილი წესების უგულვებელყოფასა და ფორმალიზმში, სკოლის, მასწავლებლისა და მოსწავლის შრომის შედეგების შეფასებაში.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სასკოლო მუშაობის დაგეგმვის საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აუცილებლად ჩაითვალოს შემდეგი სახის სამუშაო გეგმები:

- სკოლის წლიური სამუშაო გეგმა;
- კლასის ხელმძღვანელისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელის წლიური სამუშაო გეგმა;
- საგნობრივი მეთოდური გაერთიანებების წლიური სამუშაო გეგმა;
- კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანებების წლიური სამუშაო გეგმა;
- წრეობრივი მუშაობის წლიური გეგმა;
- მასწავლებლის გაკვეთილის ყოველდღიური გეგმა (ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამცემულ და დაწყებ მასწავლებლებს საჭიროა ჰქონდეთ გაკვეთილის დაწვრილებითი გეგმები, დანარჩენ მასწავლებელთა გეგმები შეიძლება იყოს მოკლე, შედგენილი მათთვის ხელსაყრელი სქემით).

სასკოლო პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები მუშაობენ რაიონული (საქალაქო) პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელობით და აქვთ თავიანთი სამუშაო გეგმები. სკოლის მშობელთა კომიტეტისა და სასკოლო ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმები შედგენილი უნდა იყოს სკოლის წლიური სამუშაო გეგმის შესაბამის თვეებში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2.1. გადაჭრით გააუმჯობესონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი და მეთოდები. მტკიცედ დაიცვან სკოლის ინსპექტირების დადგენილი წესები იმ ვარაუდით, რომ საშუალო სკოლა ფრონტალურად (კომპლექსურად) მოწოდებოდეს 5 წელიწადში ერთხელ, რვაწლიანი სკოლა — 3 წელიწადში ერთხელ, დაწყებითი სკოლა — ყოველწლიურად.

2.2. სასკოლო ინსპექტორთა კადრების სწორად შერჩევით და მათი კვალიფიკაციის ამაღლებით სრულყოფნ სკოლის მუშაობის შემართ-

შების ეფექტიანობა, რისთვისაც მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრკ განათლების მინისტრის 1976 წლის აგვისტოს ბრძანებით „სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესახებ“, ამ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებლისა და მოსწავლის შრომის შედეგების კომპეტენტურად და ობიექტურად შეფასებას.

2.3. მკაცრად დაიცვან ამ ბრძანებაში წარმოდგენილი გეგმების რაოდენობა და არ დაუშვან სკოლებისაგან სხვა სახის გეგმების მოთხოვნა. სკოლის ყოველგვარი შემოწმება ნებისმიერი ორგანოს მიერ მოხდეს მხოლოდ ადგილობრივ განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით, ინსპექტირების დადგენილი ვადების მკაცრი დაცვით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლის ზემომდევანელთა და მასწავლებელთა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, მათი დროის ბიუჯეტის რაციონალურად გამოყენების საქმეს, აღკვეთონ მასწავლებლების გამოყენება იმ საქმეებში, რომლებიც არ არის დაკავშირებული სკოლისა და მასწავლებლის ძირითად საქმიანობასთან.

3. აღნიშნული ბრძანება დაიყვანონ რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამდე და მკაცრი კონტროლი დააწესონ მის განუხრეკლად შესრულებაზე.

მინისტრი

ო. ჭინქლაძე

# ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



**Об инспектировании общеобразовательных школ и планировании их работы**

27 мая 1981 года, № 352

В деле успешного осуществления задач, поставленных перед школами решениями XXVI съезда КПСС, огромное значение имеет дальнейшее улучшение системы управления школой, научная организация школьного труда, совершенствование руководства и контроля работы школ.

Совершенствование учебно-воспитательного процесса, повышение его эффективности всецело зависит от рациональной организации и регламентирования труда учителей и руководителей школ, заострения их внимания на решении важнейших, наиболее актуальных задач в процессе педагогического труда, что должно найти отражение в планировании работы школы. Вместо этого, в школах укоренилась порочная практика составления множества различных планов, перегрузка планов второстепенными и нерациональными вопросами, что в свою очередь вызвало серьезную перегрузку школьных работников, формальное отношение к своим обязанностям и, соответственно,

Укоренению практики составления многочисленных планов школой.

Укоренению практики составления многочисленных планов и формализма в практике школьной работы способствуют серьезные недостатки, все еще существующие в деле руководства и контроля, что выражается в неквалифицированном и некомпетентном инспектировании со стороны различных органов, пренебрежении к установленным правилам инспектирования работы школ и формализме в оценке результатов работы школы, учителей, учащихся.

**П р и к а з ы в а ю :**

1. В целях установления надлежащего порядка в деле пла-

нирования работы в общеобразовательных школах республики считать обязательными нижеперечисленные планы работ:

- годовой план работы школы,
- годовые планы работы классных руководителей и воспитателей групп продленного дня,
- годовые планы работы предметных методических объединений,
- годовые планы работы методических объединений классных руководителей,
- годовые планы работы кружков,
- поурочные планы учителей (учителя, получившие при аттестации рекомендации и молодые специалисты должны иметь развернутые планы. Поурочные планы остальных педагогов могут быть краткими, составленными по усмотрению учителя).

Школьные партийные, профсоюзные, комсомольские и пионерские организации работают под руководством районных (городских) партийных, профсоюзных и комсомольских организаций и имеют свои рабочие планы. Планы работы школьного родительского комитета и библиотеки составляются на основе вопросов, предусмотренных в соответствующих разделах школьного годового плана.

2. Министерством просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, районов и городов республики, Управлению народного образования Тбилгорисполкома:

2.1. Систематически совершенствовать стиль и методы руководства и контроля за работой школ. Строго соблюдать установленные правила инспектирования школ с тем расчетом, чтобы средняя школа фронтально (комплексно) проверялась в 5 лет один раз, 8-летняя — в 3 года один раз, начальная школа — ежегодно.

2.2. Путем правильного подбора кадров школьных инспекторов и повышения их квалификации обеспечить повышение эффективности проверки работы школ, строго руководствуясь

приказом Министерства просвещения СССР от 17 августа 1976/ года «О критериях оценки деятельности школы»; особое внимание в этом деле уделить объективности и компетентности оценки труда учителя и ученика.

2.3. Строго соблюдать число обязательных планов, перечисленных в данном приказе и не допускать случаев требования от школ планов другого характера.

Любые проверки школ различными органами должны проводиться только по согласованию с местными органами народного образования со строгим соблюдением установленной периодичности сроков проверки. Особое внимание уделить научной организации труда руководителей школ и учителей, рациональному использованию бюджета их времени, пресекать случаи привлечения учителей к тем делам, которые непосредственно не связаны с основными обязанностями учителей.

3. Данный приказ довести до всех общеобразовательных школ и установить строгий контроль за его неукоснительным исполнением.

Министр

О. Д. Кинкладзе

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო ფილმოთეკების მუშაობის  
შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯიამ მოისმინა  
რა სკოლების სამმართველოს ინფორმაცია „რესპუბლიკის რაიონული  
და საქალაქო ფილმოთეკების მუშაობის შესახებ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამ-  
ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რესპუბლიკის ქალაქებისა და  
რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სა-  
ხალხო განათლების სამმართველომ:

1.1. ერთ თვეში შეისწავლონ მათდამი დაქვემდებარებული ფილ-  
მოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით უზრუნველყოფის სა-  
კითხი და მიიღონ ზომები 1981 წლის 20 აგვისტომდე დებულებით გა-  
თვალისწინებული ფართობით, ტექნიკური საშუალებებითა და საჭირო  
მოწყობილობებით მათი უზრუნველყოფისათვის.

1.2. დასვან საკითხი რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელი  
ორგანოების წინაშე ფილმოთეკების სატრანსპორტო საშუალებებით  
უზრუნველყოფის შესახებ და არ დაუშვან მათი არადანიშნულებისა-  
მებრ გამოყენება.

1.3. იმ სკოლების მიმართ, რომლებიც აჭიანურებენ გამოყენებული  
ფილმების დაბრუნებას, მიიღონ წესდებით გათვალისწინებული ზომე-  
ბი. ხელი შეუწყონ სწავლების პროცესში სასწავლო ფილმების გამო-  
ყენების გაზრდას, კინოპროექტორების დატვირთვის კოეფიციენტის  
ამაღლებას.

1.4. რაიონული და საქალაქო მეთოდკაბინეტების დახმარებით ხე-  
ლი შეუწყონ ფილმოთეკების მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებას.

2. რაიონული და საქალაქო ფილმოთეკების გამგეებმა:

2. 1. 1981—1982 სასწავლო წლისათვის ფილმოთეკის დროულად  
მომზადების მიზნით ა/წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყონ ფილმო-  
თეკის შენობის შეკეთება, მეთოდური ხასიათის ლიტერატურა, ს.ს-

წავლო-ტექნიკური საშუალებების სქემების მომზადება, სასწავლო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების საქმეში მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

2.2. მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებისთანავე უზრუნველყონ ყველა სასწავლო ფილმის ფილმოთეკაში დაბრუნება და მთლიანი ფილმოფონდის შემოწმება-დაზუსტება, დაზიანებული ფილმების შეკეთება, ახალი ფილმების შევსება და ახალი ფილმების შესახებ სკოლებისათვის ინფორმაციების დროულად მიწოდება.

2.3. მზადყოფნაში მოიყვანონ ფილმოთეკაში არსებული ყველა ტექნიკური საშუალებანი და მასწავლებელთა აქტივთან ერთად სისტემატურად მოაწყონ ახლად მიღებული სასწავლო ფილმების გასინჯვა, მათზე მეთოდური რეკომენდაციების შედგენა და სკოლებამდე დაყვანა.

2.4. სკოლებიდან მიღებული განაცხადების მიხედვით შეადგინონ მათთვის სასწავლო ფილმების მიწოდების გრაფიკი და უზრუნველყონ მისი შესრულება.

2.5. სისტემატურად შეამოწმონ სკოლების მიერ სასწავლო ფილმების გამოყენებისა და კინოპროექტორების ექსპლუატაციის მდგომარეობა, შემჩნეულ ნაკლოვანებათა შესახებ დროულად აცნობონ განათლების განყოფილებას სათანადო ღონისძიების გასატარებლად.

2.6. მასწავლებლებთან და ლაბორანტებთან პერიოდულად ჩაატარონ ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები საეკრანო-ბგერითი საშუალებების სწავლებაში გამოყენების საკითხებზე.

2.7. მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების საუკეთესო გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების საქმეში. პერიოდულად მოაწყონ თათბირ-სემინარები, კონფერენციები სასკოლო ტექნიკის გამოყენების საუკეთესო გამოცდილების განზოგადების საკითხებზე.

2.8. უფროსკლასელ მოსწავლეებთან და ლაბორანტებთან ჩამოაყალიბონ ვიწროფირიან პროექტორებზე მომუშავე კინოდემონსტრატორთა კურსები და უზრუნველყონ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ორგანიზაცია.

2.9. წესრიგში იქონიონ ფილმოთეკის დოკუმენტაცია: კატალოგები, საინვენტარო წიგნები, ფილმების მოძრაობის ბარათები, აბონემენტები და სხვა. ყოველწლიურად ჩაატარონ როგორც ფილმოფონდის



ისე სასკოლო ტექნიკისა და სხვა მოწყობილობათა ინვენტარიზაცია.

2.10. რაიონულ და საქალაქო მეთოდურ კაბინეტებთან ერთად უზრუნველყონ სკოლების. მასწავლებლებისათვის სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების საქმეში მეთოდური დახმარების გაწევა, მეთოდური ხასიათის კინოფილმების ჩვენება, ღია გაკვეთილების ორგანიზაცია და სხვა.

3. სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემათა რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა:

3.1. სისტემატურად შეისწავლოს რაიონული და საქალაქო ფილმოთეკების მუშაობა, ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს მათ როგორც ინდივიდუალური, ისე ზონალური კონსულტაციების ჩატარებით.

3.2. უზრუნველყოს ფილმოთეკების მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტების, ბლანკების, წიგნების, აბონემენტების, დღიურებისა და ფილმობარათების დაბეჭდვა და ადგილებზე მიწოდება.

3.3. ფილმოთეკებიდან მიღებული წლიური ანგარიშების საფუძველზე შეადგინოს და ფილმოთეკებს დაუგზავნოს მეთოდური რეკომენდაციები შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

3.4. დროულად მიიღოს ზომები ახლად დანიშნულ ფილმოთეკების გამგეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

3.5. შეისწავლოს ფილმოთეკების მოთხოვნები სწავლების ტექნიკურ საშუალებებზე და სხვა მოწყობილობებზე, დროულად წარუდგინოს ისინი მომარაგების მთავარ სამმართველოს.

4. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) მიიღოს საჭირო ზომები მეთოდკაბინეტის განაცხადის მიხედვით რაიონული და საქალაქო ფილმოთეკების სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და სხვა საჭირო მოწყობილობებით დასაკმაყოფილებლად.

5. საგვეგმო-საბიუჯეტო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) რესპუბლიკის ფილმოთეკების საშტატო უზრუნველყოფის საკითხის შესწავლის საფუძველზე რაიონულ და საქალაქო ფილმოთეკებზე დაუშვას ერთეულები ფილმოთეკის ტიპური შტატების მიხედვით.

6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,

მინისტრი

მ. ჭინქლაძე



რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო ფილმოთეკების მუშაობის  
შესახებ

მიმდინარე წლის აპრილში რესპუბლიკის რიგი რაიონული და საქალაქო ფილმოთეკების მუშაობის შემოწმებით გამოიჩვენა, რომ მათი ერთი ნაწილი საქმიანობას წარმართავს დებულების მიხედვით, აქვს მუშაობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს შტატიტ გათვალისწინებული სათანადო გამოცდილების მქონე კვალიფიციური თანამშრომლები. წესრიგშია მოყვანილი ფილმოთეკების დოკუმენტაცია, დატულია და მოვლილი ფილმოფონდები, მოწყობილია დიათეკები და ფონოთეკები, დამაკმაყოფილებლადაა გაფორმებული სტენდები სასწავლო კინოფილმებისა და სხვა საეკრანო საშუალებების სწავლებაში გამოყენების მეთოდურ საკითხებზე, საკმაო რაოდენობითაა თვალსაჩინო საშუალებები კინოტექნიკაზე.

გარკვეული შედეგი გამოიღო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1979 წლის 15 მარტიდან 15 მაისამდე ჩატარებულმა სახალხო განათლების განყოფილებათა ფილმოთეკების 1-მა რესპუბლიკურმა დათვალიერებამ.

დათვალიერების პერიოდში და შემდგომ ფილმოთეკებმა საქმიანი კავშირი დაამყარეს შესაბამის მეთოდკაბინეტებთან და სკოლების მეთოდგაერთიანებებთან; შემცირდა გამოუყენებელი ფილმების რაოდენობა და იმ სკოლების რიცხვი, რომლებიც სისტემატურად აჭიანურებენ კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების დაბრუნებას.

კარგად მუშაობენ ქ. თბილისის კალინინის რაიონის (გამგე ვ. ბოსტანჯევა), კიროვის (გამგე ნ. პაზიაშვილი), ქ. გორის (გამგე ც. ნაოჭაშვილი), გორის რაიონის (ყოფილი გამგე ქ. ასაბაშვილი, ამჟამად — გ. ნასყიდაშვილი), ქ. სამტრედიის (გამგე გ. კანდელაკი) რაიონული და საქალაქო ფილმოთეკები. მათ აქვთ კარგად მოწყობილი სათავსოები და წესრიგში მოყვანილი ფილმოთეკები, მუშაობენ მეთოდკაბინეტებთან შეთანხმებულად და განათლების განყოფილებათა გამგეების მიერ

დამტკიცებული წლიური და კვარტალური სამუშაო გეგმებით. გათვალისწინებული საკითხები შეესაბამება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ რაიონული (საქალაქო) ფილმოთეკების მუშაობის ტიპურ დებულებას.

ფილმოთეკებს აღრიცხული აქვთ ფილმოფონდი სინვენტარო წიგნებში, სისტემატურად აწარმოებენ სასწავლო ფილმების ასლების ტექნიკურ დამუშავებას და მიმდინარე შეკეთებას; სკოლებიდან დაბრუნებული ფილმები ისინჯება და დაზიანების შემთხვევაში ხდება მათი აღდგენა. დროულად ხდება კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებით ამოღებული და ექსპლუატაციის შედეგად დაზიანებული ფილმების ჩამოწერა; სკოლების მიერ გატანილი ფილმების დროულად დაბრუნება, რითაც გაიზარდა სასწავლო მიზნით ფილმების გამოყენების კოეფიციენტი. წესრიგშია მოყვანილი ფილმოთეკებში არსებული ტექნიკური საშუალებები.

ფილმოთეკებს შემოკრებილი ყავთ მასწავლებელთა აქტივი ცალკეული საგნების მიხედვით, აქვთ მათთან მუშაობის გეგმა, ახალი ფილმების ჩვენებას ახდენენ შესაბამის საგანში შერჩეულ მასწავლებელთა თანდასწრებით და ადგენენ მეთოდურ რეკომენდაციებს თუ სად, გაკვეთილის რა მომენტში ან კლასგარეშე მუშაობის რა შემთხვევაში შეიძლება ამ ფილმის გამოყენება, მომზადებულად და გეგმავთიერად ტარდება ღია გაკვეთილები სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, წარმოებს მათი განხილვა და სათანადო მეთოდური რეკომენდაციების მიღება.

რაიონის სკოლებში აქვთ არსებული სასკოლო ტექნიკის აღრიცხვა, რის საფუძველზეც რაციონალურად ანაწილებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს სკოლებს შორის, სისტემატურად ამოწმებენ სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მდგომარეობას და შემჩნეული ხარვეზების გამოსწორების მიზნით საკითხი გააქვთ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა საბჭოს სხდომებზე; კვარტალში 2—3-ჯერ ატარებენ თათბირ-სემინარებს ლაბორანტებთან და საგნის მასწავლებლებთან საეკრანო-ბგერითი საშუალებების სწავლებაში გამოყენების საკითხებზე.


ფილმოთეკებთან შექმნილია კურსები ვიწროფირიანი კინოფილმების დემონსტრატორთა მოსამზადებლად, აქვთ კურსების გეგმა, მსმე-

ნელთა სიები და ჩატარებული მეცადინეობის აღრიცხვის უსურნალები, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებები პერიოდულად წმებენ ფილმოთეკების მუშაობას, სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ მათ.

მიუხედავად ამ ერთგვარი წარმატებისა, რესპუბლიკის უმრავლეს რაიონულ და საქალაქო ფილმოთეკებში მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რაც გამოწვეულია შესაფერისი ბინებისა და სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობით, ფილმოთეკის გამგეებისა და სხვა თანამშრომელთა დაბალი კვალიფიკაციით და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების უყურადღებობით, მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაბალი დონით.

ქ. თბილისის I მაისის რაიონის (ყოფილი გამგე ვ. ლავრანკი, განათლების განყოფილების გამგე რ. გახელაძე), ოქტომბრის რაიონის (გამგე ს. მაზანაშვილი, განათლების განყოფილების გამგე ა. მელაძე), სიღნაღის (გამგე რ. დოღენჯაშვილი, განათლების განყოფილების გამგე. რ. ბეჟაშვილი), მარნეულის (გამგე ნ. კულბაშინი, განათლების განყოფილების გამგე გ. ნაბიევა), ქ. ორჯონიკიძის (გამგე ქ. ამაშუკელი, განათლების განყოფილების გამგე შ. ლონიაძე), გეგეჭკორის (გამგე ს. ჭოჭუა, განათლების განყოფილების გამგე ა. ხუროძე), თერჯოლის (გამგე გ. ისაკაძე), ზნაურის (გამგე ბ. ქელეხსაევი, განათლების განყოფილების გამგე ი. ვაგლოევი), ცხინვალის (გამგე ა. ხეთაგუროვი, განათლების განყოფილების გამგე ვ. ტასოევი), სოხუმის (გამგე მ. კაკულია, განათლების განყოფილების გამგე მ. ლეთოდინი), ვაგრის (გამგე გ. მილორავა, განათლების განყოფილების გამგე ბ. ჩაკაბერია) რაიონული ფილმოთეკები მოთავსებულია მცირე ფართობის მქონე თითო ოთახში, ხოლო ორჯონიკიძის, გეგეჭკორისა და ცხინვალის რაიონულ ფილმოთეკებთან ერთად მოთავსებულია მეთოდური კაბინეტების ბიბლიოთეკები, ამის გამო ისინი ნორმალურად ვერ მუშაობენ.

აღნიშნულ ფილმოთეკებს არ აქვთ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით გათვალისწინებული სწავლების ტექნიკური საშუალებები და სხვა საჭირო ინვენტარ-მოწყობილობა, ან, თუ ნაწილობრივ გააჩნიათ, გამოყენების საშუალება არა აქვთ საჭირო ფართის უქონლობის გამო (სოხუმის, მარნეულის, გეგეჭკორის, ორჯონიკიძის, თერჯოლისა და სხვა რაიონები).



ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის ფილმოთეკას 1979—1980 წლის მანძილზე გამგე არ ყოლია. აქ ჩამოლილი იყო მუშაობა. სკოლებში სარგებლობდნენ სასწავლო ფილმებით, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლის თებერვლიდან ფილმოთეკის სხვა ბინაში გადატანასთან დაკავშირებით 20 აპრილამდე ფილმები ჩაწყობილი ქონდათ ყუთებში, რის გამოც სკოლები მოკლებული იყო ფილმებით სარგებლობის საშუალებას. ამჟამად ფილმოთეკა გადატანილია ახალ ბინაში, სადაც კიდევ უფრო ცუდი პირობებია. ყოველივე ეს საქმისადმი ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მიგვითითებს.


ზემოთ აღნიშნულ და მრავალ სხვა ფილმოთეკას არ აქვს სატრანსპორტო საშუალებები, რის გამოც ვერ ხერხდება სკოლებისათვის სასწავლო ფილმების განაცხადების მიხედვით მიწოდება, მათი დროულად დაბრუნება და სკოლაში მიტანა. მთელ რიგ ფილმოთეკებს (გეგეჭკორის, სოხუმის, ორჯონიკიძის, ზნაურის, გუდაუთისა და სხვ.) ფორმალურად აწერიათ ავტომანქანა, ფაქტიურად მათ შესაბამისი განათლების განყოფილების გამგეები იყენებენ. არ არის დამყარებული წესრიგი რესპუბლიკის ფილმოთეკების სამტატო ერთეულებით უზრუნველყოფის საქმეში. ზოგიერთ რაიონულ და საქალაქო ფილმოთეკას, გარდა გამგისა, ყავს ლაბორანტი, კინომექანიკოსი და მძღოლი, უმრავლესობას კი მხოლოდ გამგე ემსახურება, რაც აძნელებს როგორც ფილმების დროულად გაცემას და დაბრუნებას, ისე მეთოდურ მუშაობას, დებულებით გათვალისწინებული სხვა სამუშაოების შესრულებას.

• არ არის მოვლილი ფილმოფონდი, არ აწარმოებენ ფილმების გასინჯვას და ტექნიკურ დამუშავებას, არ აქვთ ფილმოსტარტები; ფილმებზე არ აქვთ გახსნილი ბარათები და, ცხადია, არ აქვთ აღრიცხული თუ რომელი ფილმი რამდენჯერ არის ნაჩვენები (სიღნაღის, მარნეულის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, ქ. თბილისის I მაისისა და ოქტომბრის და სხვა რაიონები).

ზემოდასახელებულ არც ერთ ფილმოთეკაში არ არის მოწყობილი დიათეკები და ფონოთეკები, დაბალ დონეზეა მეთოდური მუშაობა.

სკოლები იშვიათად იყენებენ კინორგოლებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ სკოლებში არსებულ კინობროექტორებს არ აქვთ კინორგო-

ლების სადემონსტრაციო მისადგმელები, არც პედაგოგებმა იციან მათი ხმარება.



არადაამაკმაყოფილებელია მასწავლებელთა აქტივთან მუშაობა. ცალკეულ ფილმოთეკებში არ ყავთ შერჩეული და განათლების განყოფილებების მიერ დამტკიცებული მასწავლებელთა აქტივი, ხოლო სადაც ყავთ, არ წარმოებს მათთან სათანადო მუშაობა. აღნიშნული ფილმოთეკები არ ამუშავებენ რეკომენდაციებს ფილმების გამოყენების შესახებ, იშვიათად ტარდება ღია გაკვეთილები სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, არ ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები სასწავლო ფილმების გამოყენების თაობაზე, სკოლების მიერ წადებულ ფილმებს დიდი დაგვიანებით აბრუნებენ, ზოგჯერ ეს ფილმები სკოლებში 2-3 თვის და მეტი ხნის მანძილზე აწყვია გამოუყენებლად.

რაიონებისა და ქალაქების მეთოდურ კაბინეტებს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა არ აქვთ დამყარებული ფილმოთეკებთან, არადაამაკმაყოფილებელია მათდამი განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელობა და დახმარება.

რაიონულ და საქალაქო ფილმოთეკებს არ აქვთ დოკუმენტაციისათვის საჭირო მასალები, როგორცაა: საინვენტარო წიგნები, ფილმების კატალოგები, აბონემენტები, დღიურები, საფილმო ბარათები და სხვა. არ ხდება მათი ცენტრალიზირებული წესით დამზადება და ფილმოთეკებისათვის დაგზავნა.

ფილმოთეკების გამგეების ერთ ნაწილს არ აქვს უმაღლესი პედაგოგიური ან სპეციალური განათლება, რის შედეგადაც სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას ვერ უწყევენ სკოლებს, არ ეწევიან სასწავლო პროცესში საეკრანო-ბეგერთი საშუალებების გამოყენების პრობლემაგანდას, არ შეუძლიათ მეთოდური დახმარების გაწევა მასწავლებლებისათვის, ვერ ატარებენ სემინარებს, კონსულტაციებს, ვერ ამოწმებენ რამდენად ეფექტურად და მეთოდურად სწორად იყენებენ სასწავლო კინოფილმებს გაკვეთილებზე თუ კლასგარეშე მუშაობის დროს, არ აქვთ დამუშავებული კონტროლი კინოპროექტორების დახმარებაზე და კინოფილმების ტექნიკურ მდგომარეობაზე.

არსებული მდგომარეობა აფერხებს ფილმოთეკების სრული დატვირთვისათვის გამოყენებას, ხელს უშლის სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე წარმართვას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემათა რეს-  
პუბლიკური მეთოდური კაბინეტი

შინაარსი



გადაწყვეტილება — 24-ე რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების, მე-6 საკავშირო პედაგოგიური კითხვებისა და 25-ე რესპუბლიკური კონფერენციისათვის მზადების შესახებ ბრძანება № 325 — მივიღებების კოორდინირებისა და ადგილებიდან საინფორმაციო მასალების გამოთხოვის წესის შესახებ . . . . .	3 58
ბრძანება № 327 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანიზაცია-დაწესებულებებში ტრავმატიზმისა და სხვა უბედური შემთხვევების თავიდან აცილების დამატებითი ღონისძიებების შესახებ	60
გადაწყვეტილება — რესპუბლიკის საბავშვო სასწავლებელსა და სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, სამედიცინო მომსახურებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . .	63
ცირკულარული წერილი — განათლების განყოფილებებსა და სკოლებში განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტების წარმოებასა და დაცვაში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ . . . . .	70
Циркулярное письмо — о серьезных нарушениях в деле ведения и хранения документов особого учета в отделах народного образования и школах . . . . .	72
ბრძანება № 352 — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინსპექტირებისა და სასკოლო მუშაობის დაგეგმვის შესახებ . . . . .	74
Приказ № 352 — об инспектировании общеобразовательных школ и планировании их работы . . . . .	77
გადაწყვეტილება — რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო ფილმოთეკების მუშაობის შესახებ . . . . .	80



რედაქტორი ე. ქურციკიძე  
ტექნორედაქტორი ა. ბაკურაძე  
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 14/VIII-81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/X-81 წ.  
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,5  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,50

შეკვეთა № 682

უე 14516

ტირაჟი 6000

უ ფ ა ს ო

2014-82

92-81

82-4

